

## სულთნის ფირმანი იონა მეუნარგიას ოსმალეთის ორდენით დაჯილდოების შესახებ\*

ს მ რ ბ ი ჯ ი ძ ი ა

ცნობილმა მეცლევარმა და საზოგადო მოღვაწემ სოლომონ ცაიშვილმა 1948 წელს თბილისის უნივერსიტეტში გამოიგზავნა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ოსმალეთის სულთნის მიერ გაცემული ფირმანის ფოტოპირი, რომლის მეორე მხარეზე ასე მწერს: „პატივცემულო სერგი, გოგზაფნი იონას ფირმანის ფოტოპირს, თქვენი ფეშქაში იყოს იმ პირობით, თუ გაშიფრავთ და სათანადო კომენტარიით დაბეჭდავთ. თუ რაიმე დამატებითი ცნობები დაგჭირდათ, აქ ვარ. ამის მოძტანი, თქვენი სტუდენტი, ჩემი ვაჟია\*\*“. რაცა გსურთ, მომწერეთ და დამავალეთ. პატივისცემით სოლ. ცაიშვილი.“ ამის შემდეგ 30 წელზე მეტი გავადა, მაგრამ ქართული კულტურის გამოჩენილი მოამაგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას უცხო სახელმწიფოს მიერ ორდენით დაჯილდოების შესახებ ეს დოკუმენტი აქამდე ვერ გამოიცა. გამოცემდა გვიანების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ფირმანი შეიცავს მეტად ძნელად გასაჩვენებელ ე. წ. დავანი'ს ხელით შესრულებულ ოსმალურ ტექსტს, რომელსაც თან ახლავს საერთოდ ფირმანებისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპული, მაგრამ რთული ხვეულებით შესრულებული მაღალფარდოვანი გამოთქმები. ბ-ნ სოლ. ცაიშვილის მიერ გამოგზავნილი ფირმანის ფოტოპირი ხარისხობრივად დამაკმაყოფილებელი არ იყო. სხვადასხვა დროს ზუგდიდში გამგზავრებულ რამდენიმე პირს, მათ შორის თბილისის უნივერსიტეტის ლექტორს მურმან ბელთაძეს, პროფ. ნოდარ შენგელიას, ბოლო ხანებში კიდევ ზუგდიდის მუზეუმის დირექტორს ნელი მიქაიასაც ვთხოვე დაემზადებინებინათ დოკუმენტის რიგიანი ფოტოპირი. მართალია, ადგილზე ვერ მოხერხდა ხარისხოვანი ფოტოს დამზადება, მაგრამ სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოპირები რამდენადაც მაინც ერთმანეთს ავსებდნენ (უნდა აღინიშნოს, რომ სოლ. ცაიშვილისაგან პირველად მიღებული ფოტოპირი ხარისხობრივად ყველაზე უკეთესი გამოდგა) და მათ საუფქველზე მაინც მოხერხდა ფირმანის აქ დაბეჭდილი ტექსტის დადგენა მინდა აქვე დიდი მადლობა მოვასხენო ზუგ-

\* წაითხულ იქნა მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1979 წლის 5.XI-ს აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარებულ სამეცნიერო სესიაზე რომელიც მიემდგვნა აკად. გ. წერეთლის დაბადების 75-ე წლისთავს.

\*\* ეს გახლავთ სარგის ცაიშვილი—წინდელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცნობილი მეცნაერ-რუსთველოლოგი.

დიდელ ფორტოკრაფებს, რომლებმაც ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შესაძლებლობა შემიქმნეს.

მწერლისა და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას (1852—1919) ოსმალეთის სახელმწიფო ორდენით დაჯილდოების ფაქტი და ამ დაჯილდოების მიზეზებიც ჩვენი საზოგადოებრიობისათვის საერთოდ ცნობილია. დიდი ხანია ვიცით, რომ ი. მეუნარგიას არქივში დაცულია ოსმალეთის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებული იყო ბ-ნი იონა. ვიცით, აგრეთვე, რომ „იმ ხანებში (1892 წლის ივლისი) ფოთში საშინელი ხოლერა მძვინვარებდა, მაგრამ ი. მეუნარგია, „როგორც ქალაქის თავი, ვერ გასცილებია ამ საშიშარ ადგილს“ ([1], გვ. 461). ნიკოლოზ კილანავამ გამოაქვეყნა აგრეთვე ამ თვალსაზრისით საყურადღებო ცნობები: „ი. მეუნარგიას ხელმძღვანელობის პერიოდს დაემთხვა ფოთში შავი ჭირის გაჩენა. ქალაქის მოსახლეობას მუსრს ავლებდა საშინელი ავადმყოფობა. ი. მეუნარგიამ ყოველ ღონეს მიმართა, რომ ხოლერა როგორც ალკვეთილიყო. იგი გვერდში ედგა ხალხს და იზიარებდა მოსახლეობის უბედურებას“ ([2], გვ. 4). შემდეგ ნ. კილანავა ლაპარაკობს ფოთში თურქეთის საკონსულოს არსებობისა და ი. მეუნარგიას მიერ გაქირვებაში მყოფ საკონსულოს ოსმალთა თანამშრომელთათვის საექიმო დახმარების გაწევის შესახებ. „მის (ი. მეუნარგიას) მიერ მიღებული ღონისძიებანი იმდენად საგულისხმო ყოფილა, რომ მეუნარგიას უნარიანი დახმარება საკონსულოსადმი თვით სულთნისათვისაც ცნობილი გამხდარა ... (და იგი) დაუჯილდოებია ორდენით „მეჯიდი IV ხარისხისა“ ([2], გვ. 4). მაგრამ ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ფრიად საინტერესოა, რა თქმა უნდა, იცოდეს აგრეთვე ოსმალთა სახელმწიფოს იმდროინდელი მეთაურის სულთან აბდულ-ჰამიდის მიერ გაცემული ამ ოფიციალური დოკუმენტის სრული შინაარსი, იცოდეს, თუ რა ღონეზეა შეფასებული უცხოელთა მიერ ი. მეუნარგიას სამსახური ოსმალეთის შავი ჭირით დაავადებულ ქვეშევრდომთა მკურნალობის საქმეში. საინტერესოა დოკუმენტისეული ზუსტი თარიღი, აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ წარადგინა ფოთიდან ი. მეუნარგია ამ მაღალ ჯილდოზე და სხვა დეტალები. გარდა ამისა, ეს ოსმალური დოკუმენტი შეიცავს თურქული დიპლომატიის შესასწავლად ფრიად დამახასიათებელ თავისებურებებს.

იონა მეუნარგია ჩვენში ცნობილია როგორც მაღალი ჰუმანური თვისებების მქონე ადამიანი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე და მშობლიური ქართული კულტურის უნაგრო და დაუღალავი მსახური. ი. მეუნარგიას ასეთ მაღალ ღონეზე დახასიათებისას საესებით მართალია სოლ. ცაიშვილი, როცა ამბობს, რომ ხოლერის საშინელი ეპიდემიის დროს ის თავის მოვალეობას თავგანწირულად ასრულებს და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს გაქირვებული ხალხის დასახმარებლად. ამ თვალსაზრისით მეტად მართებულია სოლ. ცაიშვილის მიერვე მოტანილი ადგილი მეუღლისადმი მიწერილი ი. მეუნარგიას წერილიდან; „...გაიგებდი, ჩემო ნინუცი, რომ საზარელი ხოლერა გაგვიჩნდა ფოთში... დღეში სამი კაცი ხდება ავად და ამ სამში ორი კვდება. მე ჯერ კარგად ვარ, თუმცა ხოლერიანებთან სულ ყოველდღე დავდივარ, ხელს ვკიდებ და ვაწვენ ლოჯინში თუ საფლავში. რაც შეიძლება, ვერიდები, მაგრამ წიგნში წერია: „ვერ დაიპირავეს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“... ვინ იცის, როდის რა მოხდება, ვინ იცის, როდის გნახავ? ამის გამო ვიგზავნი, ჩემო ნინუცი, ორს ჩემს ღვიძლ-ნადებ თხზულებას, ჩემს ზნეობრივ და გონებრივ სიმდიდრეს „გრიგოლ ორბელიანსა“ და „ნიკო ბარათაშვილს“. ჩემი სული და ხორცი, ჩემი ცოლი და შვილი ისინი არიან. შემინახე, როგორც თვალსაჩინი. თუ მოვეკვი, გადაეცემა წიგნის გამომცემელ ამხანაგობას...“ ([1], გვ. 461).

ასეთივე დიდი კაცთმოყვარეობა და ჰუმანურობა დაინახეს იონა მეუნარგიაში ოსმალეთის საკონსულოს წარმომადგენლებმა და გამოითხოვეს მისთვის უცხოეთის მაღალი სახელმწიფო ჯილდო.

რამდენიმე სიტყვა ოსმალეთის ფოთის საკონსულოს შესახებ. აქ წარმოდგენილ სულთნის ფირმანში ნათქვამია, რომ ი. მეუნარგიამ ფოთში ხოლერიანობის დროს „გასაქირში ჩავარდნილ ჩემ სამეფო ქვეშევრდომებს“ მკურნალობის საქმეში დახმარება აღმოუჩინაო. აქედანაც ცხადია, რომ იმ ხანებში (XIX საუკუნის 80-90-იან წლებში) სავაჭრო ურთიერთობის გამო ოსმალელები ყოფილან ფოთში, სადაც ფუნქციონირებდა აგრეთვე ოსმალეთის საკონსულოც. ოსმალეთის საკონსულო ფოთში იხსენიება ცნობილი ოსმალთა მწიგნობარისა და საზოგადო მოღვაწის აჰმედ ჰიქმეთ მუფთუოღლუს (1870—1927) ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ წიგნებსა და საენციკლოპედიო სტატიაში, კერძოდ, „ისლამის ენციკლოპედიაში“, პ. დიზდაროღლუსა და ჯ. კუდრეთის წიგნებში წერია, რომ 1888 წელს სტამბოლის ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ა. პ. მუფთუოღლუმ მუშაობა დაიწყო ოსმალეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყოფილებაში. ერთწლიანი სამუშაო სტაჟის გავლის შემდეგ, 1889 წლიდან იგი იგზავნება სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ოსმალეთის იმპერიის საკონსულოებში მდივნის, ვიცე-კონსულისა და კონსულის თანამდებობებზე. ამ თანამდებობებზე ის იყო ქ. პირეში (საბერძნეთი), მარსელში (საფრანგეთი). პ. დიზდაროღლუს მიხედვით—1896 წლიდან ჯერ ფოთში და შემდეგ ქერჩში. ქერჩიდან ა. პ. მუფთუოღლუ მხოლოდ 1896 წ. ბრუნდება სტამბოლში (შემდეგში ა. პ. მუფთუოღლუს 1912 წელს ვხედავთ ბუდაპეშტში უკვე გენერალური კონსულის თანამდებობაზე ([3], 184; [4], 9); [5], 232).

მე არა მაქვს ამჟამად შესაძლებლობა ზუსტი თარიღების დასადგენად ვეძიო საარქივო მასალები, მაგრამ საესებით შესაძლებლად მიმაჩნია ვიფიქროთ, რომ 1890 წელს ოსმალეთის ფოთის საკონსულოში ჩამდგარი თურქი მწერალი ა. პ. მუფთუოღლუ ფოთში უნდა ყოფილიყო კონსულად ხოლერიანობის დროს—1892 წელსაც (ორღენის გაცემის შესახებ არსებული დოკუმენტი დათარიღებულია 1893 წლის იანვრი კ). ვფიქრობ, მანვე მისცა ასეთი კარგი შეფასება მწერალ იონა მეუნარგიას მიერ ხოლერით დაავადებულ ოსმალთა საკონსულოს თანამშრომელთა და, შესაძლოა, ოსმალეთის სხვა ქვეშევრდომთათვის გაწეულ ჰუმანურ დახმარებას და გამოითხოვა ოსმალთა მთავრობისაგან ჯილდო.

ორღენს, რომლითაც დაჯილდოებულია ოსმალეთის სულთნის მიერ ჩვენი თანამემამულე ი. მეუნარგია, ეწოდება თურქულად *Mecidi nişanı*—მეჯიდნი ნიშანი. ეს ორღენი გამოშვებულ იქნა ოსმალეთში 1851 (პიჯრით—1268 წელს) აბდულ მეჯიდ (1839—1861) სულთნის მიერ და მისი სახელის მიხედვით ეწოდა მეჯიდის ორღენი. ორღენი ხუთი ხარისხისაა. ამ ორღენით აჯილდოებდნენ იმ პირებს, რომლებიც „ოსმალეთის უზენაეს სახელმწიფოს“ თვალსაჩინო სამსახურს გაუწევდნენ (დებულება თურქეთის ორღენების შესახებ გვაქვს, მაგრამ დაწვრილებითი ცნობების მოტანა ორღენის შესახებ შორს წაგვიყვანდა) ([6], გვ. 15—18).

1893 წლის 27 იანვარს სულთან აბდულ-ჰამიდის მიერ იონა მეუნარგიას ოსმალეთის ორღენით დაჯილდოების შესახებ გაცემული ფირმანი დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, იონა მეუნარგიას ფონდი, № 795, დოკუმენტის verso გვერდზე, ზემოთ წერია *مجدد رتبة مجيدى* نشان ذيشانى برات عاليه, „უზენაესი ბერათი (ფირმანი) სახელოვანი მეჯიდის მეოთხე ხარისხის ორღენის (გაცემის შესახებ)“.

(თურაზე): الغازی عبدالحمید خان بن عبدالمجید المظفر دائماً  
[1] نشان شریف عالیشان سامی مکان سلطانی و طغرای غرای جهانستان خاقانی  
نقد بالمون و صون الریانی حکمی اولدر که

[2] بوطی بلدیہ رئیس و کیلی موسیو میورنادینک\* قولرآنک مستولی اولدیغی  
مدتجه محتاجین تبعه شاهانه مه معاونت و مجاناً تداوی خصوصنده سبق ایدن غیرت و...  
انسانینکارانهسی جهتیه سزاوا تلطقات سنیه شاهانم اولدیغنه بنا [3] بالاستدان شرف  
افزای سنوح و صدور اولان امر و فرمان معالینوان بادشاهانم موجبجه جانب سنی  
الجوانب ملو کانه مدن کندوسنه مجیبی نشان ذیشانک دردنجی رتبه سندن بر قطعہسی  
عنایت قلنمش اولدیغنی متضمن [4] اشبو برات عالیشانم تصدیر اولندی تحریرا فی  
اليوم التاسع من شهر رجب الفرد لسنة عشر و ثلثائه و الف بمقام قسطنطينيه محروسه  
محمیه

თარგმანი

(წარწერა თურაზე:), აბდ-ულ-ჰამიდ ხანი, ძე 'აბდ-ულ-მეჯიდ'ისა—  
მარადის გამარჯვებული ელ-ლაზი

დიდებული, მაღალღირსეული, უზენაესი სახელმწიფო კარის ნიშანისა და  
ბრწყინვალე, ქვეყნისმპყრობელი, სამეფო თურის ბრძანებულება, რომელიც შე-  
წევნითა და მფარველობითა უფლისათა უნდა აღსრულდეს, იმაში მდგომარეობს,  
რომ: მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც (ფოთში) ზოლერა მძევნეარებად,  
ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილეს ბატონ მეუნარგიას მიუძღვის მაღალადა-  
მიანური თავგამოდება და [ერთგულება] გასაჭირში ჩავარდნილ ჩემს სამეფო ქვე-  
შევრდომთათვის დახმარების აღმოჩენისა და მათთვის უსასყიდლოდ მკურნალობის  
გაწევის საქმეში. ამის გამო იგი (მეუნარგია), როგორც მოგვახსენეს და ითხოვეს,  
იმსახურებს ჩემს უზენაეს სამეფო ჯილდოს, რისთვისაც იცემა და ქვეყნდება მაღალ-  
სახელოვანი ჩემი სამეფო ბრძანებულება და ფირმანი, და ამის შესაბამისად ყოველ-  
მხრივ უზენაესობით აღსაესე სამეფო კარიდან მას (მეუნარგიას) ებოძა ერთი ცალი  
მეჯიდის მეოთხე ხარისხის სახელოვანი ორდენისა, რაზედაც გამოვიდა ამ შინაარ-  
სის შემცველი ფირმანი ესე. დაიწერა ათას სამას ათი წლის განმხოლოებული რე-  
ჯების თვის მეცხრე დღესა\*\*\*.

ადგილსა მას კეთილად დაცულ კონსტანტინეს ქალაქსა შინა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტი

\* ასეა მოცემული გვარსახელი „მეუნარგია“.

\*\* აკადემიის შემდეგ უთუოდ გამორჩენილია დოკუმენტებში ის „غيرت“ პარალელური

حمیت სიტყვა.

\*\*\*-1893 წლის იანვრის 27.

## ლიტერატურა

1. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, ს. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბილისი, 1954.
2. ნიკ. კილანაეა, წარსულიდან, იონა მეუნარგია ფოთში, „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წლის 30 მარტი, № 13 (1858)-
3. A. H. Tanpınar, Ahmet Hikmet Müftüoğlu. İslâm Ansiklopedisi, I- İstanbul, 1950.
4. H. Dizdaroğlu, Müftüoğlu Ahmet Hikmet, Ankara, 1964.
5. C. Kudret, Türk Edebiyatında Hikâye ve Roman, I.
6. I. Artuk, C. Artuk, Osmanlı Nianları, İstanbul, 1967.

С. С. ДЖИКИЯ

### СУЛТАНСКИЙ ФИРМАН О НАГРАЖДЕНИИ ИОНЫ МЕУНАРГИЯ ТУРЕЦКИМ ОРДЕНОМ

#### Резюме

В статье публикуется текст и перевод с комментариями фирмана султана Абдул-Хамида о награждении зам. городского головы г. Потти Ионы Меунаргия турецким орденом Меджиди 4-ой степени за оказание гуманной и безвозмездной помощи сотрудникам Потийского консульства Турции в 1892 году во время вспыхнувшей в г. Потти страшной эпидемии холеры.

S. JIKIA

### THE SULTAN'S FIRMAN ON DECORATING IONA MEUNARGIA WITH A TURKISH ORDER

#### Summary

The paper contains the text and translation with commentaries of a *firman* by the Sultan Abdul-Hamid II on decorating Iona Meunargia, the mayor of Poti, with the order of Medjidie, Fourth Class for rendering humane and free aid to the members of the Turkish consulate in Poti during the outbreak of a fearful epidemic of cholera in the town in 1892.